სოციალური ღონისძიებების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია პროგრამით მოსარგებლე პირების სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა ნივთებითა და ტკბილეულით დასაჩუქრება.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

1.3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით საჩუქრების გადაცემა - 5 225,00 ლარი (ხუთი ათას ორას ოცდახუთი ლარი და 00 თეთრი).

2.აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებული საჩუქრების გადაცემა - 7 890,00 ლარი (შვიდი ათას რვაას ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი).

3.1 ივნისი-ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული საჩუქრების გადაცემა - 8 570,00 ლარი (რვა ათას ხუთას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი).

4.შობა-ახალ წელთან დაკავშირებული საჩუქრების შეძენა - 9 070,00 ლარი (ცხრა ათას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი).

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლეთა კატეგორია

1.მრავალშვილიანი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს);

2.დღის ცენტრი და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ბენეფიციარები;

3.დღის ცენტრი „საპოვნელას“ ბენეფიციარები;

4.შპს „მუნიციპალური მოხუცებულთა სახლის ბენეფიციარები“;

5.ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“ ბენეფიციარები;

6.ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახები;

7.2004 წლის აგვისტოს თვეში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული რუსთაველი მებრძოლების ოჯახები (მცხოვრები და რეგისტრირებული).

8.2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლების ოჯახები (რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული).

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების ვადა

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსება

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 30 755,00 (ოცდაათი ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	30 755,00 ლარი
I კვარტალი	5 225,00 ლარი
II კვარტალი	16 460,00 ლარი
III კვარტალი	0 ლარი
IV კვარტალი	9 070,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი